განმცხადებლის სახელმძღვანელო

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD - საქართველო)

ქეა საერთაშორისო კავკასიაში (CARE), რეგიონული განვითარების ასოციაცია (RDA) და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)

ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერთა ჯგუფების კონკურსი „ENPARD - კოოპერაცია საქართველოს სოფლის განვითარებისთვის " პროექტის ფარგლებში

1. <u>ინფორმაცია პროგრამის და საგრანტო კონკურსის შესახებ</u>

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში ქეა საერთაშორისო კავკასიაში (CARE), რეგიონული განვითარების ასოციაცია (RDA) და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) ერთობლივად ახორციელებენ „კოოპერაცია საქართველოს სოფლის განვითარებისთვის" პროექტს სენაკის, ხობის, აბაშის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში. პროექტი მიზნად ისახავს ფინანსურად მდგრადი, ბიზნესზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის გზით ფერმერული მეურნეობების წარმოების ეფექტურობის ამაღლებას და ფერმერთა შემოსავლების ზრდას.

კერძოდ, დაგეგმილია:

- ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერული ჯგუფების შერჩევა და წარმატებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა წარმოების ეფექტურობის ამაღლებისა და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით;
- საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) გაძლიერება, რომელიც წარმოადგენს და იცავს წევრი კოოპერატივების და მცირე ფერმერების ინტერესებს და უფლებებს;
- მცირე ფერმერთა კოოპერტივების ხელშეწყობა და ადვოკატირების ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ კაპიტალურ რესურსებთან, საბაზრო ინფორმაციასთან, ბიზნეს შესაძლებლობებთან და წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ამასთან დაკავშირებით, პროექტი აცხადებს საგრანტო განაცხადების კონკურსს მცირე ფერმერთა ჯგუფებისთვის ან უკვე არსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ბიზნესზე ორიენტირებული საუკეთესო იდეების გამოსავლენად.

კონკურსის შედეგად, შვიდი მუნიციპალიტეტიდან შეირჩევა ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული 60 საუკეთესო ბიზნეს იდეა. შერჩეულ ფერმერთა ჯგუფებს/სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საშულება ექნებათ ბიზნესის საფუძვლების და კოოპერატივის ორგანიზაციული

მოწყობის საკითხებში ტრეინინგების მეშვეობით განავითარონ ბიზნესის დაგეგმვის და მართვის შესაძლებლობები, რაც საშუალებას მისცემს მათ იბრძოლონ თანადაფინანსების მისაღებად პროექტის ფარგლებში და სამომავლოდ სწორად წარმართონ თავიანთი ბიზნესი.

პროექტის განხორციელების 4 წლის განმავლობაში შეირჩევა ბიზნესზე ორიენტირებული დაახლოებით 40 საუკეთესო სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი, და თითოეულ გამარჯვებულ პროექტზე ბიზნეს გეგმის საჭიროებიდან გამომდინარე გამოიყოფა 5,000 დან 40,000-მდე ევროს ოდენობის დაბრუნებადი გრანტი. საკონკურსო შერჩევის პირველ ეტაპზე მოხდება დაახლოებით 20 საუკეთესო ბიზნეს პროექტის შერჩევა საგრანტო თანადაფინანსების მიზნით.

2. ***<u>კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ:</u>***

სენაკის, ხობის, აბაშის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის და ცაგერის მუნიციპალიტეტებში არსებულ:

- უკვე რეგისტრირებულ ფერმერთა კოოპერატივებს;
- ფერმერთა ჯგუფებს, რომელთაც ერთად მუშაობის გამოცდილება გააჩნიათ;
- ფერმერებს, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებად ჩამოყალიბება.

3. <u>საკონკურსო განაცხადების შერჩევის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები:</u>

კონკურსი განხორციელდება რამდენიმე ეტაპად:

I ეტაპი - კონკურსში მონაწილეობის მსურველი ფერმერთა ჯგუფები ან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ავსებენ პირველად კითხვარს, რომელშიც მოკლედ უნდა აღწერონ რაში მდგომარეობს ბიზნესის იდეა, აღწერონ საკუთარი გამოცდილება, წარმოადგინონ ბიზნესის განვითარების ხედვა და ა.შ.

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ფერმერთა ჯგუფმა ან უკვე არსებულმა კოოპერატივმა უნდა შეავსოს პროექტის განაცხადის სტანდარტული ფორმა და წარმოადგინოს დალუქულ კონვერტში, „კოოპერაცია საქართველოს სოფლის განვითარებისთვის“ ოფისში, მისამართი: ქ. სამტრედია, კაკაბაძის 8, ტელ: +995 032 2236020, ნინო კეშელავა „ბაზრების განვითარების კოორდინატორი; ელ-ფოსტა: nino_keshelava@care.org.ge; მობ: +995 595 072199

განაცხადის სტანდარტული ფორმა და კონკურსის წესები ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ გვერდებზე: www.care-caucasus.org.ge; www.rda.org.ge, ან პროექტის ოფისში ქ. სამტრედიაში, კაკაბაძის 8, ტელ: +995 032 2236020. განაცხადის შევსება შესაძლებელია ქართულ ენაზე.

დალუქულ კონვერტზე მითითებული უნდა იყოს პროექტის დასახელება - „კოოპერაცია საქართველოს სოფლის განვითარებისთვის“ (ENPARD - საქართველო), განმცხადებლის ვინაობა, პროექტის განხორციელების ადგილი, საკონტაქტო ტელ. ნომერი.
საკონკურსო განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 25 აპრილი, 18:00 ადგილობრივი დროით.

<u>შენიშვნა</u>: განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია განიხილება, როგორც მკაცრად კონფიდენციალური.

II ეტაპი - შევსებული კითხვარის საფუძველზე მოხდება ფერმერული ჯგუფების / კოოპერატივების 60 საუკეთესო ბიზნეს განაცხადი შერჩევა. შერჩეული ფერმერთა ჯგუფები/სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მონაწილეობას მიიღებენ პროექტის მიერ ორგანიზებულ ბიზნესის მართვის საფუძვლების (ბიზნეს პროექტის დაწერის, საწარმოო გეგმის შედგენის, ფინანსური და მარკეტინგული დაგეგმვის, ორგანიზაციული განვითარების და ა.შ.) ტრეინინგებში. მათში მონაწილეობის საშუალება მიეცემათ იმ ფერმერულ ორგანიზაციებს, რომელთაც კარგად აქვთ გააზრებული კოოპერირების მნიშვნელობა და გააჩნიათ სერიოზული განზრახვა და რეალისტური გეგმები მის ასამოქმედებლად. შერჩეული ჯგუფების ტრენინგი ბიზნესის მართვის საფუძვლებში სავარაუდოდ დაიწყება მიმდინარე წლის 21 მაისიდან, რომელსაც გაუძღვებიან პროექტის მიერ შერჩეული ექსპერტები. ***ტრეინინგის ციკლს სრულად უნდა ესწრებოდეს ფერმერთა ჯგუფის/სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მინიმუმ 3 წარმომადგენელი!***

III ეტაპი - საკონკურსო შერჩევის შემდგომ ეტაპზე, ტრენინგში მონაწილე ფერმერული ორგანიზაციები მოამზადებენ ბიზნეს გეგმის საბოლოო ვარიანტს, რომლის წარმოდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 30 ივლისი. ამ ეტაპზე, შერჩევის პროცედურების აღწერა, შესაბამისი ბიზნეს პროექტის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები დამატებით მიეწოდება კონკურსში მონაწილე ჯგუფებს. გაითვალისწინეთ, რომ ფერმერთა ჯგუფმა / სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა საგრანტო პროგრამით თანადაფინანსებული ბიზნესი უნდა განხორციელოს მხოლოდ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში.

4. *<u>როგორ მოხდება პროექტების განაცხადების განხილვა დ შეფასება?</u>*

წარმოდგენილი ბიზნეს განაცხადები განიხილება და შეფასდება საკონკურსო კომისიის მიერ. კომისია წარმოდგენილი იქნება პარტნიორი ორგანიზაციების, სამთავრობო სტრუქტურების, საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან.

საკონკურსო კომისია ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების და კრიტერიუმების მიხედვით განიხილავს და შეაფასებს ყველა წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადს. გამარჯვებული ფერმერთა ჯგუფის/სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სია გამოქვეყნდება 2014 წლის 20 მაისს .

5. <u>რა უნდა გაითვალისწინოთ ბიზნეს განაცხადის მომზადებისას.</u>

საკონკურსო კომისია განიხილავს მხოლოდ იმ წარმოდგენილ პროექტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- განმცხადებელი ჯგუფის ყველა წევრი უნდა იყოს 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე და უნდა ცხოვრობდეს პროექტის სამიზნე სოფელში;

- განმცხადებელი ჯგუფის წევრთა რაოდენობა იმ სოფლებში, თემებსა და დაბებში, რომლებზედაც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე – 5-ზე ნაკლები;

- სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი მარეგულირებელი აქტების შესაბამისად შედგენილი წესდება.

- არარეგისტრირებულმა ფერმერულმა ჯგუფებმა უნდა დაადასტურონ მზაობა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვების შესახებ;

- საკონკურსო პროექტი უნდა იყოს შედგენილი უშუალოდ წარმომდგენი ჯგუფის ძალებით და არა რომელიმე საშუამავლო პიროვნების ან ორგანიზაციის მიერ. თითოეული ჯგუფიდან წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი საკონკურსო განაცხადი. თუ ერთ სოფელში არსებობს რამდენიმე ფერმერული გაერთიანება ან კოოპერატივი, მათ შეუძლიათ წარმოადგინონ დამოუკიდებელი საკონკურსო განაცხადები;

- საპროექტო განაცხადი განაცხადი უნდა იყოს განხილული და დამტკიცებული ჯგუფის / კოოპერატივის საერთო კრების მიერ და დადასტურებული თითოეული წევრის ხელმოწერით, რაც წარმოდგენილი უნდა იყოს განაცხადთან ერთად;

- განმცხადებელი ჯგუფის არცერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს ცუდი საკრედიტო ისტორია და მათი ანგარიშები არ უნდა დაყადაღებული ;

- განმცხადებელმა ჯგუფმა თითოეულ კითხვას სრულად უნდა გასცეს პასუხი. გაითვალისწინეთ რომ, განაცხადის შევსება უნდა მოხდეს ცალკე და არა აღნიშნულ დოკუმენტში;

- განაცხადის ბიუჯეტი უნდა იყოს დეტალური და რეალისტური. მოთხოვნილი საგრანტო თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვრება 5 000-დან 40,000-ს ევრომდე. განმცხადებელი ვალდებულია უზრუნველყოს წარმოდგენილი პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მთლიანი ბიუჯეტის სულ მცირე 40%, საიდანაც 20% უნდა იყოს ფულადი შენატანი, დანარჩენი კი სხვადასხვა რესურსი (პროექტში დასაქმებულთა სახელფასო ფონდი, ინფრასტრუქტურა, ძირითადი საშუალებები, ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა).

- პროექტი, სამუშაოების თანმიმდევრობის გათვალისწინებით, დაყოფილი უნდა იყოს ეტაპებად. 1 ეტაპში მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ჯგუფის წვლილი და სხვა დამატებითი დაფინანსების წყაროები. პროექტის გარეშე წყაროებიდან თანადაფინანსების შემთხვევაში, ქეა საერთაშორისო კავკასიის (CARE) გარდა, ყველა წყაროსაგან უნდა იყოს წარმოდგენილი საგარანტიო წერილი.

- თუ პროექტის განხორციელება ეხება რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაციის ან კერძო პირის ინტერესებს (გარემოს დაცვა, მელიორაცია, გზები, არქიტექტურა, კერძ ნაკვეთის კვეთა, ადგილობრივი ინერტული მასალის გამოყენება და ა.შ.), შესაბამისი ადგილობრივი

ორგანოებიდან და კერძო პირებიდან წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის განხორციელებაზე თანხმობის წერილები.

- თუ პროექტი ითვალისწინებს რაიმე შენობის / ნაგებობის რეაბილიტაციას, წარმოდგენილი უნდა იყოს ცნობა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან შენობის / ნაგებობის მფლობელობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტი აკმაყოფილებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირობას, მისი შეფასება მოხდება თანდართული განაცხადის ფორმაში მითითებული კრიტერიუმების მიხედვით.